საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/03

ქ. ბათუმი 10 თებერვალი, 2022 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ივნისის N08 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების (2022 წლის 10 თებერვლის N07-01/02 გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილების), იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (№119206, 07.02.2022წ) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ივნისის N08 გადაწყვეტილება.
2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**